№2161 2015 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №996 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №996 განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ პროექტის მე-7 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში

გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №996 განკარგულების მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ნება დაერთოს სამინისტროს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილ ასიგნებებში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ, პროგრამული კოდი: 34 02 01 – არაფინანსური აქტივების ზრდის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი შეამციროს 121 158. 00 (ას ოცდაერთი ათას ას ორმოცდათვრამეტი) ლარით და აღნიშნული თანხა მიმართოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული პროექტის განსახორციელებლად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის ოქტომბრის
№ განკარგულებით

დანართი

7. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი - 121 158. 00 ლარი

ბიუჯეტი 2015 წელი	რაოდ.	ერთეული	ერთეულის ღირებულება	ჯამი
ადამიანური რესურსები				
პროექტის ხელმძღვანელი (სამინისტროს თანამშრომელი)	1	6 თვე	500	3000
საველე ჯგუფის ხელმძღვანელი (სამინისტროს თანამშრომელი)	2	6 თვე	0	0
საველე ჯგუფის ოფიცერი (ამზომველი-მოწვეული სპეციალისტი)	2	6 თვე	1500.00	18000.00
რეგისტრატორი (მოწვეული სპეციალისტი)	1	6 თვე	1200.00	7200.00
ჯამი				28200.00
სამივლინებო ხარჯი				
დღიური სამივლინებო ხარჯი (საველე ჯგუფები)	2	5 თვე	1200.00 GEL	12000.00
ჯამი:				12000.00
ტექნიკური აღჭურვილობა				
ლეპტოპები	2	1	898.00	1796.00

კომპაქტ დისკები	736	1	0.50	368.00
ორსიხშირიანი USB მოდემი	2	1	105.00	210.00
ინტერნეტპაკეტი (ეკონომი) USB მოდემისთვის	2	4 თვე	30.00	120.00
ლაზერული შავთეთრი პრინტერი/კომბაინი (A4)	2	1	339.00	678.00
GPS-ს სისტემის ასაზომი აპარატი TAMBLE/LEICA	2	1	30078.00	60156.00
ჯამი:				63328.00
ადმინისტრაციული ხარჯი				
მაღალი გამავლობის ავტომობილი (ქირა და სერვისი)	1	6	1180.00	7080.00
მაღალი გამავლობის ავტომობილი (ქირა და სერვისი)	1	4	1180.00	4720.00
საწვავი	3315 ლ	1	1.75	5830.00
ჯამი:				17630.00
სულ ჯამი:				121158.00